- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და წებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდანაცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 2 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიხეილ გვალია

დირექტორი

2022 წლის 2 აპრილი

თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,428,035	1,415,789
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში		983,721	702,100
სხვა გრძელვადიანი აქტივები			213,961
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,411,757	2,331,850
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	7	726,424	939,445
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,278,755	1,094,051
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	4,612,182	3,511,820
სხვა მიმდინარე აქტივები		9,000	46,346
სულ მიმდინარე აქტივები		6,626,361	5,591,661
სულ აქტივები		9,038,118	7,923,511
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
აკუმულირებული მოგება-ზარალი		6,175,824	6,779,394
მოგება-ზარალი პერიოდზე		2,702,809	1,071,167
სულ საკუთარი კაპიტალი		8,878,632	7,850,560
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	53,070	32,742
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		34,618	40,017
საგადასახადო ვალდებულებები		71,799	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი			192
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		159,487	72,951
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,038,118	7,923,511

ხელმძღვანელობის სახელით:

მიხეილ გვალია
დირექტორი

2022 წლის 2 აპრილი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

მოგებაზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	12/31/2021	12/31/2020
საოპერაციო შემოსავლები			
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები	4	5,291,092	1,459,066
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	5	(1,800,166)	(432,903)
საერთო მოგება		3,490,926	1,026,162
სულ მიწოდების ხარჯები			
შრომის ანაზღაურება		(130,500)	(120,891)
საიჯარო ქირა		(30,000)	(30,000)
ოფისის ხარჯი		(5,347)	(1,332)
საკონსულტაციო და საბუღალტრო მომსახურების ხარჯი		(9,100)	(8,750)
ბანკის მომსახურების სკომისიო		(2,660)	(2,910)
საგადასახადო ხარჯი		(12,598)	(12,899)
ცვთა და ამორტიზაცია		(27,082)	(22,461)
სხვა ხარჯები		(77,645)	(52,744)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(294,908)	(251,588)
საოპერაციო მოგება/ზარალი		3,196,018	774,574
არასაოპერაციო შემოსავლები			
შემოსავალი კურსთაშორის სხვობიდან		-	261,964
შემოსულობა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან			
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		625	1,775
საპროცენტო შემოსავალი		93,121	145,921
სულ არასაოპერაციო შემოსავლები		93,746	409,661
არასაოპერაციო ხარჯები			
საპროცენტო ხარჯი		-	(3,105)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან ზარალი		-	(4637,54)
ზარალი საკურსო სხვობიდან		(291,414)	
სულ არასაოპერაციო ხარჯები		(291,414)	(7,743)
არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(197,668)	401,918
საოპერაციო/არასაოპერაციო მოგება ზარალი		2,998,326	1,177,095
მოგების გადასახადი		295,541	105,325
წმინდა მოგება		2,702,809	1,071,167

ხელმძღვანელობის სახელით:

მიხეილ გვალია
დირექტორი

2022 წლის 2 აპრილი
თბილისი, საქართველო



7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	დამფუძნებლის შენატანი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ მოგება-ზარალ	სულ
01.01.2020 ნაშთი			-	7,392,274	7,392,274
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება		-	-	(596,843)	(596,843)
კაპიტალის სხვა ცვლილებები				(16,038)	(16,038)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		-	-	1,071,167	1,071,167
31.12.2020 ნაშთი				7,850,560	7,850,560
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება					
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება				(1,674,737)	(1,674,737)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი				2,702,809	2,702,809
31.12.2021 ნაშთი		0	-	8,878,632	8,878,632

ხელმძღვანელობის სახელით:

მიხეილ გვალია
დირექტორი



2022 წლის 2 აპრილი
თბილისი, საქართველო

7-17 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” არტლაინ სტუდია”

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „არტლაინ სტუდია“, საიდენტიფიკაციო ნომრით 202220729 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2004 წლის 10 თებერვალს. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო ქალაქი თბილისი ისნის რ-ნი. ქიშქმარაულის ქ. #12 . საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თემქა მე-3 მკრ. მე-5 კვ. საწარმოს დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია ფიზიკური პირი თორნიკე ერგემლიძე (პ/ნ 01008014563).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა რეკლამისთვის განკუთვნილი ავეჯის დამზადება სპეციალიზირებულ მაღაზიებში. საქმიანობას ახორციელებს როგორც ადგილობრივად ასევე საექსპორტოდ.

საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა. ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა

შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ არტლაინ სტუდია”

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯის გამოკლებით, ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიან კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ: მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის

მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში.

ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწული რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლისგან მისაღები თანხები.იმ შემთხვევაში თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში(ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია"

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების წებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მიღებული ავანსები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მიღებული ავანსები, წარმოდგენილია „გამოუმუშავებელი შემოსავლების „

მუხლში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენს დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან

ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება” არტლაინ სტუდია”

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დაწინაურების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

აქტივების წარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურე- ბის ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებ- ზებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ჯგუფი	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	10-15

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის წორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან წარჩენი ღირე- ბულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შევეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი

საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის წარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის წარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი. მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოვლენული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარ დანახარჯს და სხვა ხარჯს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდგომარეობასა და მდებარეობაში მოსაყვანად. მაგალითად ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯებია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება” არტლან სტუდია”

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მიწმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. და- რიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივ- ვი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამ- დე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრე- ბოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგე- ბაში ან ზარალში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

გადასახადები.

მოგების გადასახადი - 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი

„კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით

„მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღე-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღე-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღე-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული საღრიცხო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული აქტივები. ზოგიერთი ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს სრულუფლებიანი მონაწილეების მიერ ერთობლივი საქმიანობის მიზნებისათვის შეძენილი, ან ერთობლივ საქმიანობაში შეტანილი ერთი ან რამდენიმე აქტივის ერთობლივ კონტროლს და ხშირად ასევე ამ აქტივების ერთობლივ საკუთრებასაც. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში თავის წილთან მიმართებაში, სრულუფლებიანმა მონაწილემ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს: (ა) თავისი წილი ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ აქტივებში, რომლებიც კლასიფიცირებული იქნება აქტივების ბუნების შესაფერისი საკლასიფიკაციო ჯგუფების მიხედვით; (ბ) ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკუთარი ვალდებულება; (გ) თავისი წილი სხვა სრულუფლებიან მონაწილეებთან ერთად აღებულ ვალდებულებებში, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივ საქმიანობასთან; (დ) ერთობლივი საქმიანობის პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან ან გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე ერთობლივი საქმიანობისათვის გაღებულ ხარჯებში საკუთარი წილი; და (ე) ყველა ის ხარჯი, რომელიც მან გასწია ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 4. ამონაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საქონლის გაყიდვა	5,291,092	1,459,066
ჯამი	5,291,092	1,459,066

შენიშვნა 5. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მარაგის ხარჯი	1,284,322	258,877
შრომის ანაზღაურება	-	25,438
ცვეთა	84,031	85,277
მომსახურება	431,813	63,311
ჯამი	1,800,166	432,903

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება " არტლაინ სტუდია "

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 6. ძირითადი
საშუალებები

	მიწა	დაუშვადრებელი შენიშვნა	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღწერილობა	არამატერია ლური აქტივი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	1,799,184	79,221	-	-	191,942	2,070,350
შემოსვლა	-	-	-	9,892	2,019	21,385	-	-	33,296
გასვლა	-	-	-	32,627	-	-	-	-	32,627
დეკემბერი 31, 2020	-	-	-	1,776,449	81,240	21,385	-	191,942	2,071,319
შემოსვლა	-	-	-	94,620	28,739	-	-	-	11,911
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	32,627
დეკემბერი 31, 2021	-	-	-	1,871,069	109,979	21,385	-	191,942	2,194,375
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>									
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	(524,840)	(32,568)	-	-	(9,597)	(567,005)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	-	(85,278)	(8,587)	(4,277)	-	(9,597)	(107,739)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	19,515	-	-	-	-	19,515
დეკემბერი 31, 2020	-	-	-	(590,602)	(41,154)	(4,277)	-	(19,194)	(655,229)
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	-	(84,031)	(13,209)	(4,277)	-	(9,597)	(111,114)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	-	-	-	(674,633)	(54,363)	(8,554)	-	(28,791)	(766,341)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>									
დეკემბერი 31, 2019	-	-	-	1,122,866	35,051	-	-	191,942	1,349,859
დეკემბერი 31, 2020	-	-	-	1,274,344	46,653	17,108	-	182,345	1,520,450
დეკემბერი 31, 2021	-	-	-	1,196,436	55,616	12,831	-	163,151	1,428,034

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” არტლაინ სტუდია”

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 7. მარაგი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ხედლეული და მასალები	707,242	931,523
მზა პროდუქცია	17,332	7,202
სხვა	1851	720
	-	-
ჯამი	726,425	939,445

შენიშვნა 8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორები	1,234,452	757,397
გაუფასურების ზარალის თანხა		
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება		
წინასწარი გადახდილი ავანსები	44,303	336,654
ჯამი	1,278,755	1,094,051

შენიშვნა 9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები სალარაოში	28,865	85,241
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	369,946	2,918,913
მოკლევადიანი ვადიანი ანაბრები ბანკში	4,213,371	507,666
ოვერდრაფტები	-	-
ჯამი	4,612,182	3,511,820

შენიშვნა 10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	32,121	51,219
მ.შ. ა) დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახდელი	-	0
ბ) სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	0	0
წინასწარ მიღებული თანხები	0	0
ჯამი	32,121	51,219

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” არტლაინ სტუდია’

ახსნა განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ უწყისებზე
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

შენიშვნა 11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს
ს.ს. რაშს ს.კ 200002825, რომლისგანაც აქვს იჯარით აღებული ფართი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები დაკავშირებულ მხარესთან:		
იჯარა და სხვა საოპერაციო ხარჯი:	30,000	30,000
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	37,766	34,500

შენიშვნა 12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 2 აპრილს.

ხელმძღვანელობის სახელით:

მიხეილ გვალია
დირექტორი

2022 წლის 2 აპრილი
თბილისი, საქართველო

